ახალი განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

23 - 30 იანვარი 2014 წელი №1 № 8059 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.



გიორგი ხორგუაშვილი 85

„ვინ ყალეში ცხელი გულის მძიბნელი ...„

გვ4-5.

ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სამოძღვრო ეპისტოლედან

გვ6.

სასმელი წყალი სოფელ ქვემო გომს

გვ2.

თელიანელთა ქველმოქმედება

გვ2.

ტივოლის ბაღები და ასტერიქსის პარკი

გვ7.

ყველაზე დიდი საბავშვო მუზეუმი

2014 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა რეგიონში ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო

გვ2.

კასპში, გიორგი საკაკაძის ქუჩის მოასფალტების ხარვეზებით ჩატარებული სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ იქნება მიღებული და ანაზღაურებული

გვ2.

80 წელია ჩვენი გაზეთი წერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

ახალი განთიადი 80 წელი თქვენც გვიწერეთ!

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

მდინარე ლეხურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს

გვ3.

ბავშვთა უფლებების კონვენცია

გვ7.

2014 წელს კასპის მუნიციპალიტეტმა რეგიონში ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების ნუსხა საქართველოს მთავრობაში ჯერ კიდევ გასულ წელს წარადგინა.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ, გასულ კვირას განიხილა საკითხი და პირველ ეტაპზე დააფინანსა პროექტები, რომელთა საერთო ღირებულებამ 4 326 000 ლარი შეადგინა.

2014 წელს დამტკიცებული პროექტების მიხედვით, იგეგმება ქალაქ კასპის "შავრობი"-ს (8 000 გრძ.მ) და „ახტალი"-ს (12 000 გრძ.მ) სარწყავი არხების რეაბილიტაცია. ქალაქ კასპში 10 ქუჩაზე მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა. რუსთაველის ქუჩაზე, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციები სრულადაა მოწესრიგებული - 800 გრძივ მეტრზე დაიგება ასფალტის საფარი. სოფელ ლამისყანაში, დავით გურამიშვილის წყაროდან არსებულ წყლის დებეტზე, მოეწყობა ახალი წყალსადენი სისტემა და რეზერვუარი. მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღების შენობებს ჩაუტარდება ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. 500 გრძივ მეტრზე, განხორციელდება საქადაგიანო-ხიდისყურის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვანი პროექტია ოკამი-ლამისყანა-თეზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაცია.

2014 წელს, რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ პირველ ეტაპზე, კასპის მუნიციპალიტეტში სულ 8 პროექტის დაფინანსება გადაწყვიტა. ამჯერად კასპის მუნიციპალიტეტმა რეგიონში ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო. შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს.

სასმელი წყალი სოფელ ქვემო გომს

სოფელ ქვემო გომში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარის და წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტით განსაზღვრულია წყალშემკრები სადრენაჟე ნაგებობის, საქლორატოროს, 1 000 - ტონიანი პოლიმერული მასალისგან ასაწყობ-დასაშლელი ჰოლანდიური რეზერვუარის და მაგისტრალის შიდასაუბნო დაქსელვის სამუშაოები.

მაგისტრალიდან რეზერვუარამდე მოეწყობა 1 600 გრძივი მეტრის 160 მმ დიამეტრის მაგისტრალი, ხოლო რეზერვუარიდან 4 000 გრძივ მეტრზე მოხდება შიდასაუბნო დაქსელვა და შემოიღობება საქლორატორო.

სასმელი წყლის სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს "ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი" ასრულებს, რომლის განხორციელებაზე 190 000 ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები მიმდინარე წლის თებერვალში დასრულდება და სოფლის ის უბნები, რომლებიც სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი სანიტარულ ნორმებს დაქვემდებარებულ, ეკოლოგიურად სუფთა სასმელ წყალს მიიღებენ, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

თელიანელთა ქველმოქმედება

13 იანვარს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის, თელიანის ტერიტორიულმა ორგანომ ქალაქ თბილისში ასოციაცია "ანიკა"-ს მიერ დაფუძნებულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრს სოფლის ნობათი ჩაუტანა (ვაშლი, მანდარინი, კომბოსტო, ლობიო, თხილი, კაკალი და გოგრა).

- გვინდოდა ბავშვებისთვის თანადგომა გაგვეწია და მათ მიმართ ჩვენი დამოკიდებულება გამოგვეხატა. როდესაც მარეხ ვათიაშვილთან და ვაჟა ჭაღიაშვილთან ერთად (ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტები) ნობათის შეგროვება დავიწყეთ, ჩვენი იდეის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილი ფერმერმა გივი დემეტრაშვილმა, საკრებულოს დეპუტატმა იაგო დემეტრაშვილმა, მეწარმეებმა ლევან ბერიაშვილმა და ჯონი გელიტაშვილმაც გამოთქვეს. მათ ბავშვებთან კარაქი, ნამცხვრები და ტკბილეული გაგვატანეს - აღნიშნა თელიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ტარიელ დემეტრაშვილმა.

ასოციაცია "ანიკა" 1997 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

* გაგრძელება მე-3 გვ.

კასპში, გიორგი სააკაძის ქუჩის მოასფალტების ხარვეზებით ჩატარებული სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ იქნება მიღებული და ანაზღაურებული

2013 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, რომელიც გიორგი სააკაძის ქუჩის მესამე ეტაპის - დარჩენილი 750 გრძივი მეტრის მოასფალტებას ითვალისწინებდა შპს „ჯი-აი-დი"-მ გაიმარჯვა, რომელთანაც ხელშეკრულება აგვისტოს თვეში გაფორმდა.

პროექტი ითვალისწინებს მიწის ვაკისის და რკინა-ბეტონის ლენტური კედლის, ანაკრები რკინა-ბეტონის გადამკვეთი ღარების, ბორდიურების, საგზაო სამოსის, საფეხმავლოებზე ასფალტის, საავტომობილო მიერთებების, ეზოში შესასვლელების, რკინა-ბეტონის ჭების, სანიაღვრე მილების და სანაგვე ურნების ადგილების მოწყობას. ქუჩაზე დაიდგმება საგზაო ნიშნები და სამ ზოლად, თერმოპლასტის თეთრი საღებავით მოხდება საგზაო ხაზების მონიშვნა, დაირგვება ნარგავები.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს პერიოდულად ამოწმებდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილე ზაზა მოსიაშვილი, ყოველდღიურად აკონტროლებდნენ გამგეობასთან შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები. შპს „ჯი-აი-დი"-მ ასფალტის დაგების წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები თავდაპირველად ხარისხიანად დაიწყო, თუმცა, ვადები დაარღვია და ხელშეკრულების თანახმად დაჯარიმდა. კომპანიამ წვრილმარცვლოვანი ასფალტის დაგების დროს პროექტით გათვალისწინებული სამუშაო უხარისხოდ დაიწყო, რაც სანიაღვრე ჭების არასწორად მოწყობაში გამოიხატა, ანუ ჭა ასფალტის ზედაპირს ასცდა. ზედაპირს აცდენილი ჭა კი ვერ უზრუნველყოფს ატმოსფერული ნალექების შედეგად მოსული წყლის ჭაში ჩასვლას, ქმნის ავტოტრანსპორტის საავარიო სიტუაციას და დისკომფორტს უქმნის ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებასაც. შექმნილ სიტუაციას ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოსახლეობაც აპროტესტებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა, უხარისხო სამუშაოების შესახებ მშენებლებს რამდენიმე ზეპირი გაფრთხილება მისცეს. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა შპს „ჯი-აი-დი"-ს ხელმძღვანელობას წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა კომპანიას აცნობებს, რომ წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონის საფარი გარკვეულ მონაკვეთებზე დაწეულია, ახლად მოწყობილი სანიაღვრე რკინა-ბეტონის ჭებთან შეფარდებით ასფალტის საფარი არათანაბარია. ამასთან სთხოვს, მიიღონ შესაბამისი ზომები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოები არ იქნება მიღებული და ანაზღაურებული.

შპს „ჯი-აი-დი"-ს ოფიციალური გაფრთხილება 2013 წლის 30 დეკემბერს გაეგზავნა (წერილი №2/2319).

პრობლემა მოგვარდა

სოფელ მიქელწყაროს და სადგურ კავთისხევის დასახლებაში მცხოვრები ოჯახები, ელექტროენერგიის დაბალი ძაბვის პრობლემის გამოსწორებას ითხოვდნენ. 31 დეკემბერს მოსახლეობას პრობლემა მოუგვარდათ და საახალწლოდ ელექტროენერგია მიეწოდათ. პრობლემის აღმოფხვრაზე "პროენერგოჯორჯია"-ს კასპის რაიონულმა ფილიალმა (მენეჯერი თემურ გოზალიშვილი) სამუშაოები სწრაფად ჩაატარა და მოსახლეობამ სასურველი ძაბვის ელექტროენერგია მიიღო.

31 დეკემბერს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი და კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ალექსანდრე გზირიშვილი ადგილზე შეხვდნენ "პროენერგოჯორჯია"-ს კასპის რაიონული ფილიალის მენეჯერს თემურ გოზალიშვილს და მომუშავე ჯგუფს. გოჩა გოჩიტაშვილმა მოსახლეობის დახმარებისათვის, მათ მადლობა გადაუხადა.

ძალიან დაბალი ძაბვის ელექტროენერგია მოგვეწოდებოდა, თითქმის ვერც ვიყენებდით, ვწვალობდით, ნათურა ძლივს ანათებდა - ახლა კი ყველაფერი გამოსწორდა. მადლობა თემურ გოზალიშვილს, იგი მუშა ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა და ხელმძღვანელობდა სამუშაოებს - აღნიშნეს სადგურის დასახლების მცხოვრებლებმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

2013 წელს კასპში დაიბადა

შ.პ.ს. "გინიკა+" (კასპის მრავალპროფილიანი კლინიკა)

დავით ბეჟიტაშვილი (კასპი),
ლაშა გიორგი ტლაშაძე (გორი),
თამთა გოგიძე (გორი),
ნინო თოფურია (კასპი),
თენგიზ ბიჭიკაშვილი (კასპი),
სალომე ბახტაძე (კასპი),
ელენე ხარშილაძე (ნინოწმინდა),
ვაკო ბახტაძე (კასპი),
ნინო ბეგლარაშვილი (კასპი),
გიორგი ჯარმელიშვილი (ახალგორი),
ნინო მაზანაშვილი (კასპი),
ეკა კურდღელაშვილი (კასპი),
ნანი მანძულაშვილი (გორი),
დავით ჩიტაშვილი (კასპი),
ანასტასია ღიბრაძე (კასპი),
ლენა ნოვრუზოვი (თბილისი),
დავით ღუნაშვილი (კასპი),
გაბრიელ ბაქაქური (კასპი),
ლუკა ახალკაცი (კასპი),
ალექსი მაზმიშვილი (კასპი),
ემირ ბაირამოვი (ქარელი),
გიორგი გოგილაშვილი (მცხეთა),
გიორგი ბოგველი (კასპი),
დავით ნორზალოვი (კასპი),
სალომე ელიავა (კასპი),
ანანო ნიპარიშვილი (თბილისი),
ნიკოლოზ ხოკრიშვილი (კასპი),
ნინო ჯავახი (ბათუმი),
გიორგი ჯიქური (მცხეთა),
ანი ქოსაშვილი (კასპი),
ნინო მერებაშვილი (გორი),
აინუსი ფირიევი, (მცხეთა),
გიორგი გუგულაშვილი (თბილისი),
გიორგი ბასიაშვილი (კასპი),
ნინი ლომსაძე, (კასპი),
ზურა ხეთაგაშვილი (ქარელი),
თამარ ჩიტაშვილი (კასპი),
ლიზი წოწოლაშვილი (ახალგორი),
ნიკოლოზ გაბიდაური (კასპი),
ლუკა ნაბახტეველი (კასპი),
საბა თუშიშვილი (კასპი),
ანა მაისურაძე (კასპი),
ანა ჟივიძე (თბილისი),
თემურ გელიაშვილი (გორი),
თენგიზ მაისურაძე (ადიგენი),
ლუკა წითელაური (გორი),
თამარ ბერიანიძე (კასპი),
თემურ კაპანაძე (თბილისი),
ანასტასია შოთაშვილი (კასპი),
ალი ალიევი (კასპი),
ანანო ქსოვრელი (კასპი),
ლუკა ილურიძე (გორი),
ლუკა ხარხელი (კასპი),
საბა ჯაბახიძე (ზუგდიდი),
გიორგი ტატანაშვილი (კასპი),
ელენე თვაური (გორი),
მარიამ კოჩუაშვილი (გორი),
ანდრია ნასყიდაშვილი (თბილისი),
მუჰამედ გოჯაევი, (კასპი),
ვერიკო კაციაშვილი (გურჯაანი),
თამარ ქეშიკაშვილი (კასპი),
კარინა მელაძე (კასპი),
საქინა სოიფათ ოღლი (კასპი),
ემირხან გაჯიევი (კასპი),
თემურ ლაფერაშვილი, (კასპი),
ნიკოლოზ მერებაშვილი (კასპი),
მარიამ ბიჭიაშვილი (მცხეთა),
სოსო ნადირაშვილი (გორი),
ჰამზა გიფი ოღლი (კასპი),
ადალათ ადალათ ოღლი (წალკა),
სანდრო ილურიძე (ოჩამჩირე),
გელა წიქარიშვილი (ქარელი),
ანი რაზმაძე (გორი),
ელენე ბიძინაშვილი (ბათუმი),
ნია ზანგურაშვილი (გორი),
მარიამ მშვიდობაძე (კასპი),

* გაგრძელება მე-6 გვ.

მდინარე ლეხურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს

რამდენიმე დღეა კასპის შემოსასვლელში, მდინარე ლეხურაში სხვადასხვა სახეობის მძლავრი ტექნიკაა მობილიზებული, მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები. უხვი ნალექის შედეგად, წლებია მდინარე კალაპოტს აგანიერებს და ორივე ნაპირის გასწვრივ მიწის ფართობს და არსებულ ნაპირსამაგრ კედელს აზიანებს. არსებული ნაპირსამაგრი კედელი დიდი ხნის გაკეთებულია და ვეღარ უმკლავდება პერიოდულად ადიდებულ ლეხურას. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საქართველოს მთავრობას დახმარებისათვის მიმართა, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა (1 300 000 ლარი), გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია - სს "ხიდმშენი", რომელიც სამუშაოების შესრულებას აქტიურად შეუდგა.

პროექტი ითვალისწინებს ხიმინჯების მოწყობას, კედლის სამუშაოების დაწყებას, ხოლო დასასრულს გზისპირსა და კედელს შორის არსებული სიცარიელე ამოივსება.

- აღნიშნული სამუშაოები მაისის თვეში დამთავრდება და მართლაც, დიდი პრობლემა მოგვარდება, თუმცა, მდინარეზე ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ამჯერად 228 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს, აუცილებელია მომავალშიც გაგრძელდეს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მოსიაშვილმა.

თელიანელთა ქველმოქმედება

*** დასასრული**

ბავშვთა მშობლებმა და ოჯახის წევრებმა დააარსეს. ცენტრი ორ ორგანიზაციად ფუნქციონირებს: ერთი 18 წლამდე ასაკის ბავშვების, ხოლო მეორე 18 წლის ზემოთ. ორივე ცენტრში 37 ბავშვია, სადაც ისინი სოციალური რეაბილიტაციის კურსს გადიან. დღის განმავლობაში (10 საათიდან საღამოს 5 საათამდე) სწავლობენ ქართულს და მათემატიკას, მათი უნარებიდან გამომდინარე კი გეოგრაფიას და ისტორიას, აქვთ შრომითი თერაპიის გაკვეთილიც. ბავშვებს აქვთ საკუთარი ნიჭის გამომჟღავნების საშუალება - მღერიან, ხატავენ და მუშაობენ თექაზე. ბავშვების ყოველდღიურ ტრანსპორტირებას ასოციაცია "ანიკა" უზრუნველყოფს. ჩვენი არსებობის მანძილზე

დახმარება ბევრ ორგანიზაციას გაუწევია, მაგრამ სოფლის ნობათის მორთმევის შემთხვევა არ ყოფილა. ყველაზე მეტად კვების პროდუქტები გვჭირდება, თქვენი მოტანილი სოფლის ნობათი მართლაც დროულია, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. იმედია, თქვენი ქველმოქმედება სტიმული იქნება სხვისთვისაც - აღნიშნა ასოციაცია "ანიკა"-ს გამგეობის თავმჯდომარემ ირინა ინასარიძემ.

გამოიწერეთ

სოფელ სამთავისში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მისმა მოადგილემ ზაზა მოსიაშვილმა სოფელ სამთავისში, სასმელი წყლის ქსელის მოწყობის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში აშენდა წყლის ახალი რეზერვუარი. უსაფრთხოების მიზნით რეზერვუარი შემოიღობა მავთულბადით. მოეწყო ახალი საქლორატორო, რომელიც მოსახლეობას სტანდარტებს დაქვემდებარებულ, ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფს.

რეზერვუარიდან გამომავალი პოლიეთილენის ცენტრალური მაგისტრალიდან შიდასაუბნო დაქსელვის შემდეგ მოსახლეობა სასმელ წყალს მიიღებს. სოფელ სამთავისში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "აგრო" აწარმოებს და მას თვის ბოლოს დაასრულებს. სამუშაოების ღირებულება 181 149 ლარია.

- კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. გამგეობამ სამთავისის მოსახლეობის პრობლემის შესახებ ინფორმაცია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აცნობა. სამინისტრომ სამუშაოების ჩასატარებლად თანხა გამოყო. აღნიშნულმა შესაძლებლობა მოგვცა სოფლის მოსახლეობისათვის, რომელიც დღემდე სასმელი წყლის გარეშე იყო დარჩენილი, ეს სასიცოცხლო პრობლემა მოგვეგვარებინა. - აღნიშნა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

"ვინ ყოცში ცხელი გულის მძიბნელი ..."





მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩინებულ მოქართულეს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შემკრებსა და დამფასებელს გიორგი ხორგუაშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა მისი შემოქმედებითი და ხსოვნის საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ დედაქალაქიდან მონვეული სტუმრები, მწერლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, ხელოვანები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მწერლის შემოქმედების დამფასებლები და ოჯახის ნევრები, ახლობლები...

კასპში, აქამდე მსგავსი რამ ჯერ არ მომხდარა... საცხოვრებელი სახლის კედელზე, იქ, სადაც წლების განმავლობაში მწერალი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ხორგუაშვილი ცხოვრობდა (ეფრემ II-ის (ყოფილი სააკაძის ქუჩა №2) მემორიალური დაფა განთავსდა. მემორიალის საბურველის ჩამოხსნის პატივი წილად ხვდათ მწერლის შვილიშვილებს: ხატიას, თათიას და გიორგი (უმცროსი) ხორგუაშვილებს. მანამდე კი, კასპის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში მისი მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა. შემდეგ, ოჯახის ახლობლებმა, მოწვეულმა სტუმრებმა ყვავილების გვირგვინებით შეამკეს მწერლის საფლავი.

მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ ცოტა ხნით გადაინაცვლა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც მოწყობილი იყო ღონისძიებასთან დაკავშირებული სპეციალური გამოფენა... მწერალი, პუბლიცისტი, ესეების ავტორი გიორგი ხორგუაშვილი ოთხათეულ წელზე მეტხანს თავკაცობდა ამ კულტურულ კერას და სწორედ მისი ინიციატივითა და ორგანიზებით კასპში არსებული მუზეუმები ფასდაუდებელი, მეცნიერული ღირებულებების ექსპონატებით გამდიდრდა. გაწეული ამაგისა და დამსახურებისათვის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამიერიდან მიენიჭა გიორგი ხორგუაშვილის სახელი...

იუბილეზე მოპატიჟებულ საზოგადოებას დღის ბოლოს უმასპინძლა ქალაქის კულტურის ცენტრმა. იუბილარის პორტრეტებით დამშვენებულ სცენაზე მოწყობილ მონიტორზე უწყვეტად აჩვენებდნენ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ვიდეო–კოლაჟს...

დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, რომელმაც გამგეობის სახელით, ახლა უკვე, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად გადასცა მხატვარ დავით ბაძაღუას მიერ შესრულებული მწერლის პორტრეტი.

საიუბილეო საღამოზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ოთხმეზური, მწერალი და მთარგმნე

* გაგრძელება მე-5 გვ.

”ვარ ყველში ცხელი გულის მძიბნელი ...”



ვიდეო მასალით მოისმინა მწერალ გურამ დოჩანაშვილისა და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის მარიამ ლორთქიფანიძის გამოსვლები, აგრეთვე, გერმანიაში მყოფი მწერლის შვილიშვილის, ნათია ხორგუაშვილის ჩანაწერი.

აპლოდისმენტები დაიმსახურა კინოსა და თეატრის ცნობილმა მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ,



რომელიც კითხულობდა გიორგი ხორგუაშვილის ლექსებს, ამონარიდებს მოთხრობებიდან. მწერალ გიორგი ხორგუაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პედაგოგებმა თამარ გაბოძემ და მანანა ყაბანაშვილმა. მოწონება დაიმსახურეს ხალხური სიმღერების ანსამბლებმა: “მოურავი” და “ქართლი.” სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მწერლის მეუღლემ ნათელა ფარემუზაშვილმა, მწერლის დამ, რუიზან ხორგუაშვილმა.

მოწვეულ სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას ოჯახის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორმა, მწერლის დისშვილმა ლია ბეგლარაშვილმა. საიუბილეო საღამოს უძღვებოდნენ: მწერლის შვილიშვილი ხატია ხორგუაშვილი და რობერტ კავთიაშვილი. საღამო დასრულდა მუსიკალური ნომრით და შემსრულებელი გახლდათ მწერლის პატარა შვილიშვილი თათია ხორგუაშვილი, რომელმაც მაყურებელს შესთავაზა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსზე შექმნილი ცნობილი ქართული ჰიტი “სულ ზევით, ზევით”...

*** დასასრული.**

ლი გივი შაჰნაზარი, გიორგი ხორგუაშვილის უახლოესი მეგობარი, ჟურნალისტი გურამ ვაშაკიძე, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, კინომცოდნე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი გოგი დოლიძე. დამსწრე საზოგადოებამ

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

სკოლის წარმოდგენა წინარეხში

❄ ნაახალწლევს, არდადეგებიდან დაბრუნებული წინარეხის საჯარო სკოლის (დირექტორი ვასილ ქეშელაშვილი) მოსწავლეები ხალისით იხსენებდნენ სოფლის კლუბში (გამგე ნუნუ ბედოიძე) გამართულ საშობაო წარმოდგენის დეტალებს...

საზეიმო კონცერტს, რომელიც მოსწავლეთა ძალებით ჩატარდა, მარტო ახალგაზრდები კი არა, უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

— ძალიან მოინდომეს ბავშვებმა, უფრო კი, დაწყებითი კლასები და მათი პედაგოგები (თინათინ თვაური, მაია თხინვალელი) აქტიურობდნენ, — აცხადებს ისტორიის მასწავლებელი ია ირემაშვილი, — ბავშვების საყვარელი ზღაპრის “წითელქუდას” — მიხედვით შექმნილი თეატრალიზებული წარმოდგენა ინგლისურ ენაზე შესრულდა და მასწავლებელმა თამარ კოდალაძემ მოამზადა. წარმოდგენა, მართლაც, ყველას მოეწონა და შესაბამისად, აპლოდისმენტები დაიმსახურა.

საახალწლო კონცერტზე მიპატიჟებული სტუმრები მოხიბლა მეოთხე კლასის მოსწავლემ გიორგი ბერბიჭაშვილმა, რომელმაც შთამბეჭდავად წარმოთქვა საახალწლო მილოცვა, მილოცვას მოჰყვა სიმღერები, ცეკვები, მერე კი, მონატრებული თოვლის პაპაც გამოჩნდა, რომელმაც ტკბილეულით დაასაჩუქრა პატარები და მათთან ერთად მოილხინა. ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს აქტიურობისათვის მადლობა გადაუხადა წინარეხის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ზაზა მარჯანიძემ.

❄ *** ❄

ორღობის თოვლში კაკუნი
დგანან
და კასპის ერთ დიდ
კლდეს გასჩქერიან,
,,ვეფხისტყაოსნის სამეცნიერო
ბას,, ჰგვანან –
თოვლს და სამშობლოს
ზამთარს შვენიან ...
არ ნამეტნავად ❄
მოვრალები ჩანან,
არ მთლად ფხიზლებში
სნერიან
,,საქართველოო ლამაზო,,
–
სულისშემძვრელად მღე-
❄ რიან.

მურმან ლეშანიძე.

ამინდრილი სრულიად საქართველოს ყათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სამშობლო ეპისტოლედან

"სამყარო და დრო ერთდროულად გაჩნდა. აი, როგორ მიმართავს ნეტარი ავგუსტინე უფალს: "შენა ხარ დროის შემოქმედი; არ არსებობს დრო შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგან შენ წარუვალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუვალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი."

სამოთხეში ყოფნის პერიოდს მამები "წმინდა დროდ" მოიხსენიებენ. იგი სხვა სახისა იყო და იქ არც ადამი არც ევა არ ექვემდებარებოდნენ მის მდინარებას. ის დრო კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დადგა ცოდვით დაცემის შემდეგ.

პირველი ადამიანები მოაკლდნენ რა "ცხოვრების ხის" ნაყოფს, – ანუ უფალთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დაკნინდნენ; მათი აზროვნების წესიც შეიცვალა და მიწიერი ყოფით შემოიფარგლა, თუმცა ლტოლვა სამოთხისა და ღვთისაკენ კვლავ დარჩათ. ამიტომაც ადამიანი გაორდა, გაორდა მისი ამქვეყნიური დროც: ლიტურგიკული დროით იგი კვლავ უკავშირდება ღმერთს, ხოლო ყოფითი დრო მოიცავს ცხოვრების იმ ნაწილს, რაზეც ბიბლიაში წერია: "ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს" (ეკლ.1, 2).

დროის გაყოფა ყველაზე რეალური სახით მოხდა პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, როდესაც კაენმა უფლის ძღვენი ამპარტავნების სულით გაიღო, ხოლო აბელმა – გულწრფელი, უშურველი სიყვარულით.

კაენის შური შუღლში გადაიზარდა, აბელის მოკვლით კი მასში მიწიერი და ეგოისტური სული იმდენად გაძლიერდა, რომ ღვთის პირისაგან თავისი ნებით საბოლოოდ მიეფარა და აღარ უნდოდა უფალთან ურთიერთობა; ამით დასრულდა მისი ლიტურგიკული დროც, რამაც მხოლოდ მიწიერი ყოფის სურვილი გაუღვივა და გამოიწვია სიკვდილისადმი ძრწოლა, ანუ შემოქმედთან შეხვედრის შიში. (ზოგადად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ღვთის საწინააღმდეგოდ ცხოვრობენ).

აბელს კი, მართალია, ამქვეყნიური ყოფა წაერთვა, მაგრამ მისი ლიტურგიკული დრო მომავალი მარადიული ნეტარი ცხოვრების საწყისად იქცა."

"რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის ლიტურგიკული დროით ცხოვრება?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, წუთისოფელში აწმყო, ფაქტიურად, არ არსებობს; ის, რასაც აწმყოს ვარქმევთ, იმ წამსვე იქცევა წარსულად. ასე რომ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვიმყოფებით. მარადისობაში მუდამ აწმყოა. იქ წარსული და მომავალი არ არსებობს..

და თუ გვსურს, სწორად ვიცხოვროთ, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენს წარმავალ დროში მარადიულობა შემოვიყვანოთ და დრო მოძრავ მარადისობად ვაქციოთ (წმ. იოანე დამასკელი).

ეს საიდუმლო ეკლესიაში აღესრულება. ამიტომაც კარგავს აქ დრო თავის ძირითად ფიზიკურ თვისებებს, – შეუქცევადობას და სწორხაზოვნობას, რაც საეკლესიო დღესასწაულთა განმეორადობით, წრიული მდინარებითა და მათი განმაახლებელი მოქმედებებითაა განპირობებული."

"აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდა ეკლესიური ცხოვრებისა, ლიტურგიკული დროით ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიური ყოფის ისე წარმართვას, რომ ადამიანის გული და გონება მუდმივად იყოს ღმერთთან კავშირში. ეს კი გულისხმობს გაცნობიერებას იმისას, რომ თუ არა უფლის შეწევნა, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც სუნთქვას, ვერც სიარულს, ვერც აზროვნებას, და რაიმე საქმის გაკეთებას, გარშემომყოფთა და საერთოდ, სამყაროს აღქმას; ვერ მოვიპოვებდით საკვებს, ჩასაცმელს, საცხოვრისს, ვერ შევქმნიდით კულტურას, ვერც მეცნიერულ აღმოჩენებს გავაკეთებთ...

ანუ უნდა დავინახოთ, რომ ყოველივე უფლის ნებით მოგვეცა, რათა გარემო უკეთესი გავხადოთ, ღვთის მადლიერნი და მისი თანაშემოქმედნი გავხდეთ და არა მოწინააღმდეგენი, თუმცა არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია.

თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლეებს ზრდი იმ სულისკვეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევას, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში მყოფთა დახმარებას, უფროსებისადმი პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან ეგოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ.

... თუ დიასახლისი ხარ და შვილებზე ზრუნვას გირჩევნია, სამსახური გქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესად გაერთო, თუ შენ არაფერს ერიდები, რათა კომფორტული ცხოვრება მოიწყო და არ გადარდებს ამისათვის სხვისი მსხვერპლად გაწირვა, თუ შენ აბორტით ან სხვა თანამედროვე საშუალებებით ახდენ ოჯახის დაგეგმარებას, ეგოისტურად ზრდი ბავშვებს, არ ასწავლი მათ მოწყალების გაცემას და გაჭირვებულისადმი თანადგომას, არ ასწავლი მეგობრობას, სიმართლის სიყვარულს, ერთგულებას, – კაენის სულს ვერ მოიცილებ და მისი ხვედრის თანაზიარი გახდები.

"ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი" ბრძანებს მოციქული (გალ.6,2). ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვით შეწევნას და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მინდა შეგახსენოთ ანტონი სუროჟელის მიერ მოხმობილი ერთი ამბავი: "იყო ერთი ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც სხვისი ცოდვების დანახვის უნარი მიეცა და ერთხელ მასთან მეტად მძიმე ცოდვებით სავსე ადამიანი მივიდა აღსარებისათვის, არ მიიღო. თუმცა მალე სინდისმა შეაწუხა და ამის შესახებ გამოცდილ ბერს უამბო. მან უსაყვედურა: როგორ გააბრუნე? ის ხომ სინანულით მოვიდა და შენ იყავი მისი ბოლო იმედი?

ახალგაზრდა მოძღვარი ისე შეწუხდა, ღმერთს სთხოვდა, ნათელხილვის უნარი აღარ ჰქონოდა. გულწრფელი სინანულისათვის უფალმა მას თანალმობის მადლი მიანიჭა. და აი, ერთხელაც, როცა მას მეტად მძიმე ხასიათის სახლის მეპატრონესთან მოუწია ღამის გათენება, იგი აღარ დაბრკოლდა მისი ცოდვების გამო, არამედ ერთ კუთხეში გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა მეპატრონისთვის და თან მის დანაშაულობებს ამბობდა.

მასპინძელი სასულიერო პირის ლოცვით დაინტერესდა და ჩუმად დაუგდო ყური. იგი გაოგნებული ისმენდა თავისი ცოდვების შესახებ ახალგაზრდა მოძღვრის ღვთისადმი ვედრებას და ამან იმდენად შეძრა, რომ იმ დღიდან სრულიად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო.

ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში მრავლად იყო და როცა ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ადამიანების მოქცევას, მოძღვარი პასუხობდა: "როდესაც ჩემთან მოდის ცოდვით დამძიმებული პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს თავის დანაშაულს და სინანული არა აქვს, ვცდილობ სულიერად მის შინაგან სამყაროს ჩავწვდე და იმ აზრით, რომ ჩვენ ვართ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ერთმანეთისა, ვიწყებ სინანულით ლოცვა-ვედრებას მისი და ჩემი, ანუ ჩვენი ცოდვებისათვის და ეს ადამიანიც, ღვთის მადლით, თანდათან იწყებს შემობრუნებას."

2013 წელს კასპში დაიბადა

* **გაგრძელება**

ანა გორელიშვილი (ასპინძა),
გუნაი ნორზა ოღლი (კასპი),
ლაზარე გურგენაშვილი (გორი),
ნატალი გალუსტაშვილი (კასპი),
ნანა კოშაძე (კასპი),
მერაბ ქურასბედიანი (კასპი),
დანიელ ბერიანიძე (კასპი),
ლიზი ლაფერაშვილი (თბილისი),
რატი შატაკიშვილი (კასპი),
მუჰამედ ალი ბაირამოვი (კასპი),
აილინ ზელიმხან ოღლი (კასპი),
ლუკა გზირიშვილი (კასპი),
ნიკოლოზ ოდიშვილი (კასპი),
გაბრიელ ბაღდავაძე (კასპი),
ალექსანდრე ახალკაცი (კასპი),
ლიზი კომლაძე (კასპი),
ნიკოლოზ ხუტაშვილი (კასპი),
ელენე ელერდაშვილი (კასპი),
გიორგი კულუმბეგიშვილი (გორი),
გუგა დურული (თბილისი),
გიორგი მამულაშვილი, (კასპი),
ბარბარე ბერიანიძე (ხაშური),
მარიამ მარჯანიძე (მცხეთა),
ბარბარე მამულაშვილი (კასპი),
ვახულა კოტიაშვილი (თბილისი),
დათუნა გოგიაშვილი (მცხეთა),
გიორგი ნაბახტეველი (დუშეთი),
დავით დავითულიანი (მცხეთა),
ბარბარე პაპუაშვილი (გორი),
ნიგარ მამედოვი (კასპი),
ნანა ოდიშვილი (ახალგორი),
მარიამ კიკაძე (კასპი),
ლუკა კარელიძე (კასპი),
საბა არაბაშვილი (კასპი),
ინთიზამ ალიევი (წალკა),
დავით ბალხამიშვილი (მცხეთა),
იაღმურ უზუნალოვი (კასპი),
ანი აშრალოვი (კასპი),
ალბერტ მერებაშვილი (თბილისი),
საბა გვრიტიშვილი (კასპი),
საბა პაპაშვილი (კასპი),
გივი ყაზარაშვილი (კასპი),
ანა ოგნაძე (კასპი),
ნიკოლოზ და ლუკა კვესიაშვილები (ტყუპები) (კასპი),
გაბრიელ დავლაშერიძე (კასპი),
ბარბარე კაციაშვილი (გორი),
გიორგი ბეჟიტაშვილი (კასპი),
ლელა ისკანდაროვი (კასპი),
ნინო თაბუაშვილი (გორი),
დავით მიდელაშვილი (თბილისი),
ლიზი მარჯანიძე (კასპი),
ქეთევან ბურდული (კასპი),
ელენე ბაინდურაშვილი (კასპი),
ვაკო ბიტარიშვილი დიღომი),
ანარ ალავერდ ოღლი (კასპი),
ანზორ კენჩხაძე (მცხეთა),
ნიკოლოზ მერებაშვილი (თბილისი),
ლიკა აფციაური (ქობულეთი),
საბა ქოქაშვილი (კასპი),
ლიკა მამასახლისი (კასპი),
ანდრია დალაქიშვილი (კასპი),
ბაქირ მახრამ კიზი (კასპი),
ნუცა ნაცვლიშვილი (საგარეჯო),
ეკა ბალაშვილი (კასპი),
ნია გიგაური (კასპი),
მედინა ამაზ ოღლი (კასპი),
ჰამზა ზეინალოვი (კასპი),
მარიამ ხოხაშვილი (კასპი),
ნარმინა მანსუმა ოღლი (კასპი),
ვაჟა ჭეხაშვილი (კასპი),
ანა მამულაშვილი (კასპი),
ქეთევან ჯოხაძე (ხაშური),
ნია ხალათიძე (კასპი),
მარიამ აკოფაშვილი (კასპი),
ტარიელ ყაზარაშვილი (კასპი),
გაბრიელ ბერბიჭაშვილი (მცხეთა),
მარი ჯაფაროვი (თბილისი),
ელდარ ისმაილოვი (მცხეთა)

* **გაგრძელება მომდევნო ნომერში.**

ყოველი წლის პირველ ივნისს მთელ მსოფლიოში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. მშობლები შვებულებას იღებენ ხოლმე და შვილები ბამბის ნაყინის საჭმელად და პარკში სასეირნოდ მიჰყავთ. თითქმის ყველგან იმართება კონცერტები და პატარებს სახეზე ფერად ყვავილებს და მზეებს ახატავენ, აძლევენ ბუშტებს და სათამაშოებს. იმ ბავშვებსაც, ვისაც მშობლები არ ჰყავთ, ამ დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. პირველი ივნისი პატარებისთვის ყოველთვის ხალისიანი დღე გამოდის, საღამოს დაღლილი ბავშვები გაღიმებულები წვებიან საწოლებში და ტკბილ სიზმრებს ნახულობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს ამ დღეს სიხარულით ხვდებით, შესაძლოა, ზოგიერთმა თქვენგანმა ზუსტად და დანამდვილებით არ იცოდეს ამ დღის ნამდვილი მნიშვნელობა. ეს სულაც არაა დღე, როცა ათასი ბუშტი უნდა გაუშვა ცაში და პატარებისთვის თამაშობები მოაწყო. უფრო სწორად, პირველი ივნისი იმიტომ აღინიშნება მსგავსი რაღაცებით, რომ 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პირველად მიიღო ბავშვთა უფლებების კონვენცია, ხოლო ერთ წელიწადში ის ძალაში შევიდა. აქამდე ყველას შეეძლო დაერღვია ბავშვთა უფლებები და კანონის მიხედვით არ დასჯილიყო. ამ კონვენციამ უფროსებს დანამდვილებით ასწავლა, თუ როგორ უნდა მოეპყრონ პატარებს და რის უფლება აქვთ მათ.

მსოფლიოს ბევრმა ბავშვმა არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ, ზოგმა არც ის იცის, რომ მშობელმა მას არ უნდა სცემოს და არც მუშაობა აიძულოს – შესაძლოა იმ 193 ქვეყანაშიც კი, სადაც ეს კონვენცია

ბავშვთა უფლებების კონვენცია

უკვე მიღებულია. ამ სახელმწიფოებში საქართველოც შედის.

მახსოვს, პირველად რომ გავიგე ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ, ძალიან გახარებული ვიყავი. განა იმიტომ, რომ მშობლები ჩემს უფლებებს არღვევდნენ, უბრალოდ, მომწონდა ის, რომ რაღაცები დანამდვილებით შემეძლო და მივხვდი, რომ არამარტო ჩემს სახლში, ან მეგობრებთან, არამედ ქალაქში, ქვეყანაში და საერთოდ, მსოფლიოში გარკვეული ადგილი მეჭირა. მოდი, შენი რამდენიმე უფლების შესახებ გეტყვი, აი, დავიწყოთ ყველაზე მარტივიდან:

1. ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ 18 წელი არ შესრულებია, ითვლება ბავშვად.

2.სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

3. ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

4. ბავშვს უფლება აქვს იცხოვროს მშობლებთან ერთად და, მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, თუ ეს არ არის მისთვის საზიანო.

5. ბავშვს და მის მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ დატოვონ და დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას, რათა ერთ ოჯახად იცხოვრონ.

6. ბავშვს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ეხება.

7. ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის და გაზიარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის საზიანო.

8. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას.

9. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ ოჯახური გარემო.

თუ დაგაინტერესებს, ყურადღებით წაიკითხე ბავშვთა უფლებების კონვენცია, იქ ბევრ საინტერესოს აღმოაჩენ.

ყველაზე დიდი საბავშვო მუზეუმი

ასეთი მუზეუმის შექმნის იდეა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 10-იან წლებში დაიბადა და 1925 წელს მუზეუმი გაიხსნა. მას შემდეგ, ყოველ წელიწადს მას უთვალავი ბავშვი სტუმრობს. ეს ერთ-ერთი ყველაზე საბავშვო ადგილია მთელ მსოფლიოში. მას ინდიანაპოლისი ჰქვია. თქვენ მკითხავთ – რა არის ინდიანაპოლისი? ეს არის უზარმაზარი ტერიტორია, რომელზეც ბავშვებისთვის განკუთვნილი ასი ათასზე მეტი ექსპონატია. მოკლედ რომ ვთქვა, ინდიანაპოლისი ყველაზე დიდი საბავშვო მუზეუმია.

ჯერ მარტო ინდიანაპოლისის მთავარი შენობა ისეთია, რომ სუნთქვა შეგეკვრება. ხედავ, როგორ ადიან მინაზე უზარმაზარი დინოზავრები. მუზეუმში შესვლისთანავე ბავშვები სამსართულიანი ფერადი მინის ზოლებისგან შემდგარი ფიგურისკენ მირბიან და დიდხანს მოჯადოებულები უყურებენ. ეს იმიტომ, რომ ამდენ ფერს მართლაც ვერსად ნახავ. თან, ხომ იცი, ფერადი მინა რა ლამაზია და როგორ ჰგავს საწუწნ კანფეტს, ტკბილ კარამელს, ანდა მამალოს.

ინდიანაპოლისის მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი მეოცე საუკუნის 175 კარუსელს უკავია. უმეტესობა ზღაპრულია, რადგან მულტფილმებისა და ფილმების გარდა იშვიათად თუ შეხვდები ასეთს. გახსოვთ, პინოქიო რომ ზის ცხენებიან კარუსელზე, რომელიც წრეზე მიჰქრის და ზემოთ-ქვემოთ ჭენაობს, და თან მუსიკა ისმის. სწორედ ასეთი კარუსელებია ამ მუზეუმში.

აქვე ძალიან, ძალიან მაგარი საბავშვო თეატრია. შეგიძლია ისეთ სპექტაკლებს დაესწრო, სადაც ყველაფერი საოცრად ჰგავს ნამდვილს, რაც კარგი მსახიობების, სცენის ჯადოსნური დეკორაციებისა და განათების ბრალია.

შემდეგი გაჩერება დინოზავრების სამფლობელოა. ამ უზარმაზარი არსებების ფიგურები გეხმარება იმის წარმოდგენაში, თუ როგორები იყვნენ დინოზავრები სინამდვილეში. რაც მთავარია, მუზეუმის ამ მონაკვეთში ზუსტად იმ გარემოს შექმნას ეცადნენ, როგორშიც ეს ცხოველები ცხოვრობდნენ, მთელი უდაბნოებით, უცნაური მცენარეებით და გამოქვაბულებით.

დინოზავრების ტერიტორიის გავლის შემდეგ კიდევ ერთ უცნაურ ადგილას მოხვდებით. აქ უამრავი პატარა ტრაქტორი, პატარა ზომის მუშის ტანსაცმელი, მაღაროს ხელსაწყოები და მეცნიერული დანადგარებია. ეს სამეცნიერო განყოფილებაა, სადაც ნებისმიერ ბავშვს შეუძლია გახდეს გარემოს დამცველი, მეცნიერ-მკვლევარი, არქეოლოგი, ფიზიკოსი. უბრალოდ მოირგე შენთვის შესაბამისი სამოსი და იმუშავე ბუნებაში. მართალია ეს ყველაფერი დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ აქ თავს მართლაც რომ საქმიან უფროსად იგრძნობ. ჩვენი მოგზაურობა ამით არ დასრულებულა. ინდიანაპოლისში კიდევ უამრავი საუცხოო ადგილია, რომელზეც დიდი სიამოვნებით მოგიყვებით გაზეთის შემდეგ ნომერში.

***“კეხურა” ელოდება გამოხმაურებას.**

ტივოლის ბაღები და ასტერიქსის პარკი

დასასვენებელ პარკებში უფროსები მხოლოდ ბავშვების თანხლებით მიდიან და ამბობენ, რომ ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ პატარა გაერთოს. მე თუ მკითხავთ, სინამდვილეში უფროსები ისევე ერთობიან იქ, როგორც მათი შვილები. უბრალოდ, ამას არ აღიარებენ. ძალიან ცოტა მშობელი თუ გაბედავს მარტო, ან თავის მეგობართან ერთად წავიდეს საბავშვო პარკში, თავბრუსხვევამდე იჯდეს ათასნაირ ატრაქციონზე და გემრიელად მიირთვას ბამბის ნაყინი. მოკლედ, ბავშვებთან ერთად გასართობად წასული უფროსები არანაკლებ აღტაცებულები არიან ხოლმე. მით უმეტეს, არსებობს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო გასართობი პარკები და ისინი სხვადასხვა ქვეყნებშია გაფანტული.

პირველი პარკი, რომელზეც გიამბობთ, დანიაში, კოპენჰაგენში მდებარეობს და იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადგილია. ცნობილია არა მარტო იმით, რომ ამ პარკში არაჩვეულებრივი ატრაქციონებია, არამედ იმიტომაც, რომ უძველესია. ეს გახლავთ ტივოლის ბაღები. აქ უამრავი უცხო მცენარე ყვავის და ატრაქციონების გვერდით უზარმაზარი, უცნაური ხეები დგას. ამ პარკში არის მსოფლიოს პირველი ამერიკული მთების ატრაქციონი, რომელიც ხისგანაა დამზადებული. თუ ტივოლის ბაღებში ბავშვი საღამომდე შემორჩება, აუცილებლად ნახავს გასაოცარ ფეიერვერკს. ყოველ საღამოს აქ უფროსები ბავშვებთან ერთად მოდიან და ამ ჭრელი სანახაობით ტკბებიან. რაც მთავარია, ატრაქციონების გარდა პარკში ძალიან კარგი და საინტერესო პანტომიმის თეატრია, რომელშიც საყვარელი მიმი-მსახიობები თამაშობენ. ასე რომ, ძალიანაც რომ მოინდომო, ტივოლის ბაღებში ვერ მოიწყენ.

ალბათ, გახსოვთ სასაცილო გალი მებრძოლი ასტერიქსი. ეს ასტერიქსი ბავშვებს იმდენად უყვართ, რომ მის პატივსაცემად საფრანგეთში გასართობი პარკიც კი გააკეთეს. იქ თუ შეხვალ, თავი ძველ რომში გეგონება. ხოლო ოდნავ მოშორებით, ისევე, როგორც რომის ტყეებში და სოფლებში, ჩანჩქერებსაც აღმოაჩენ. ასტერიქსის პარკში ბავშვებისთვის ყველაზე საინტერესო ადგილი, ალბათ, მოჩვენებებით სავსე სასახლეა, სადაც ბავშვების ჯგუფი შეჰყავთ ხოლმე და პატარებს შიშისგან ძარღვებში სისხლი ეყინებათ. როცა ასეთ ადგილას მოხვდები, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილი არაა და არც არაფერი დაგიშავდება. სამაგიეროდ, ძალიან, საინტერესო და საკვირველია.

მოჩვენებებიანი სახლიდან გამოსვლის შემდეგ იმდენი რამ გექნება მოსაყოლი, მთელი ერთი თვე გეყოფა, გაუჩერებლად რომ ილაპარაკო. კიდევ, გაითვალისწინე, რომ ასტერიქსის პარკში უამრავი ამერიკული მთების ატრაქციონია. ზოგიერთი მათგანი ძალიან საშიშია, თავდაყირა გაყენებს და საოცარ მანევრებს ასრულებს ჰაერში. ზოგი ამერიკული მთა კიდევ ნახევრად საშიშია, აი, ისეთი, რომ გაერთო და სიამოვნება მიიღო. გაითვალისწინე, რომ თუ ასტერიქსის პარკში, ანდა სხვაგან, სადაც ხშირად დადიხარ, საღამოსკენ მოხვდები, აუცილებლად გაიშოტე ბალახზე და ცას უყურე. ამ ადგილებიდან ძალიან ბევრი ვარსკვლავი მოჩანს და ღამღამობით გამჭვირვალე, სუფთა ჰაერია.

თუ ამ და სხვა პარკებში (რომლებზეც შემდგომში მოგიყვები) გადაწყვეტ სტუმრობას, აუცილებლად წაიყვანე დედიკო და მამიკო. დამიჯერე, ძალიან გაეხარდებათ.

გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გინდათ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გინდათ, გაიგოთ ერისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! ან დაგვირეკეთ 22 25 76

გამოიწერეთ "ახალი გინდოლი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

დაიბადა კასპში 2014 წლის პირველ იანვარს

2014 წელს შ.პ.ს. "გინიკა+"-ში (კასპის მრავალ-პროფილიანი კლინიკა) პირველი ბავშვი, პირველ იანვარს დღის პირველ საათზე დაიბადა. კასპელ ვალერი არზიანს /სს "ტაოპრივატბანკის" კასპის ფილიალის სერვისცენტრის მმართველის მოადგილე / და ნუნუ თაბუაშვილს / ქვემო ხანდაკის საჯარო სკოლის უცხო ენის პედაგოგი/ შეეძინათ ქალიშვილი ანი არზიანი.

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ავტომანქანის შემკეთებელი / ტიქვის კაჩიური/;
2. გრეიფერული ხიდური ამწის ოპერატორი;
3. ელექტროშემდუღებლის სტაჟიორი;
4. ელექტროშემკეთებლის სტაჟიორი /ტიქვის კაჩიური, განათლება უმაღლესი, ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია/;
5. სინჯის ამღების სტაჟიორი;
6. ინჟინერ-დამგეგმარებლის სტაჟიორი /განათლება უმაღლესი, ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია/.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 27 იანვრამდე შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

"ყველაფერ" გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76